

სამოდულო სატყეო პლანტაციის შექმნა მერქნის მდგრადი წარმოებისათვის

ზურაბ შოშიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა (ტყის რესურსების მდგრადი მართვა) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

ტყის რესურსების მდგრადი მართვა (LFFM)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი მაჭარაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

ჩემი სამაგისტროს თემის, კვლევის მიზანია ეროვნული სატყეო სააგენტოს ერთ-ერთი პროექტის „სიღნაში ცრუაკაციის (*Robinia pseudoacacia*) მიზნობრივი პლანტაციის გაშენება“-ზე იმ ფაქტორების გამოვლენა და გაანალიზება, რაც ეროვნულ სატყეო სააგენტოს არ გაუკეთებია. ასევე პლანტაციური მეურნეობის დადებითი და უარყოფითი მხარეების წარმოჩენა. მე ვმუშაობ ეროვნულ სატყეო სააგენტოში ტყის მოვლა-აღდგენის სამმართველოში, ვარ ამ პროექტის ერთ-ერთი კოორდინატორი და პირადად მივიღე ყველა ღონისძიებაში მონაწილეობა. ასევე კვლევის მიზანია, დაინტერესების შემთხვევაში, თუ ვინმე გადაწყვეტს გააშენოს ცრუაკაციის მიზნობრივი პლანტაცია წარმოდგენა ქონდეს, თუ რა სახის მოგებაზე იქნება საუბარი.

სწრაფმზარდი სახეობებით მიზნობრივი სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოება წარმოადგენს გრძელვადიან სარგებლობას და მიმართულია ტყეზე ზეწოლის შემცირებით ხე-ტყის სასურველი პროდუქციის ოპტიმალური ოდენობის მოპოვებისაკენ. ეს ერთის მხრივ ხელს უწყობს გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას, მეორეს მხრივ კი, წარმოადგენს აღნიშნული გზით მოგების მიღების დამატებით საშუალებას.

ცრუაკაცია (*Robinia pseudoacacia*) არის სწრაფმზარდი სახეობაა და უმოკლეს პერიოდში გვამღვეს საბოსტნე სარს (ჭიგო), სავენახე სარს, ბიჯგებს (ბოძი) და საშემე მერქანს. 4-5 წლიდან უკვე შესაძლებელია ყვავილობის პერიოდში ფუტკრების გაჩერება მიმდებარე ტერიტორიაზე.

დედოფლისწყაროსა და სიღნაღის რაიონებში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მისდევს მეზღეობას და მევენახეობას, ასევე განვითარებულია მეფუტკრეობა. ეს რეგიონი ნაკლებად ტყიანია, რის გამოც ვერ ხერხდება საშემე მერქანზე მოსახლეობის მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილება. აკაციის მიზნობრივი პლანტაციის გაშენება ამ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს შეესაბამება, ამასთანავე მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი თვალსაზრისითაც, რადგან მოსალოდნელია გარკვეულწილად ბუნებრივ ტყეებზე ზეწოლის შემცირება.

პროექტთან დაკავშირებული კვლევებისა და შესაბამისი ლიტერატურის ანალიზი, ინტერვიუ, კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ამ რეგიონში საჭიროა ცრუაკაციის პლანტაციის გაშენება, ასევე დადგინდა, რომ ეს ტერიტორია აკმაყოფილებს ყველა იმ კრიტერიუმებს, რაც ცრუაკაციის პლანტაციური მეურნეობისათვის არის საჭირო.

თემაზე მუშაობის პერიოდში, ჩავატარე ბაზრის კვლევა, დავადგინე მისაღები სორტიმენტის ღირებულებები, დავითვალე საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა და დავითვალე მიახლოებითი მოგება. ასევე კვლევებით დადგინა, თუ რამდენი სავენახე სარი ან ბიჯგი არის საჭირო 1 ჰა ფართობზე ყურძნის ვენახის გასაშენებლად.

საველე გასვლებზე ინახა წინა (1980-1990) წლებში გაშენებული ცრუაკაციის პლანტაციები შევაფასე დღევანდელი მდგომარობა. ასევე სისტემატიურად ვანხორციელებ საველე გასვლებს მიმდებარე პროექტის მდგომარეობის შესაფასებლად. დღეის მდგომარეობით დარგულია თესლნერგები და მიმდინარეობს მოვლის ღონისძიებები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ეროვნული სატყეო სააგენტო, სატყეო პლანტაცია, პლანტაციიდან მიღებული მერქანი.